N 03/02/03-69 27/07/2022

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2022 წლის რთვლის საკოორდინაციო შტაბში ღვინის კომპანიების ელექტრონული რეგისტრაციის პირობების დადგენის შესახებ

,,2022 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 ივლისის №1327 განკარგულების მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ღვინის კომპანიებმა, რომლეთაც განზრახული აქვთ ყურძნის მიღება-გადამუშავება ვალდებულნი არიან გაიარონ რეგისტრაცია ელექტრონული ფორმით რთვლის საკოორდინაციო შტაბში და უზრუნველყონ:

ა) ღვინის კომპანიების არანაკლებ 10მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით აღჭურვა;

ბ) ყურძნის მიღება-ჩაბარების თითოეული პუნქტის ვიდეო კონტროლის სისტემით აღჭურვა (არანაკლებ 3 ვიდეო კამერა, ინტერნეტის სიჩქარე = 1მბ/წმ კამერების რაოდენობაზე, სტატიკური გარე IP მისამართი, მონიტორინგის ცენტრიდან ჩამწერამდე წვდომების გახსნა, ვიდეო ჩამწერის მომხმარებელი კამერებზე ადმინისტრირების უფლებით, ვიდეო ჩამწერი თავსებადი მონიტორინგის პროგრამასთან iVMS-4200 (ვერსია 3.3.0.4 ან მეტი), კამერა არანაკლებ 3 მეგაპიქსელი ღამის ხედვის ფუნქციით, ყურძნის მიღებისა და გადამუშავების პროცესის სრული ჩანაწერი (არქივის შენახვა წლის ბოლომდე), რომლის საშუალებით განხორციელდება სასწორზე მანქანის ძარის, სასწორის მაჩვენებლის და ყურძნის გადასამუშავებელი საცავის (ე.წ ,,ბუნკერის“) კონტროლი;

გ) ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესის განხორციელება სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული სასწორებით აღჭურვილ საწარმოში.

2. დაევალოს სააგენტოს მევენახეობა-მეღვინეობის ანალიზისა და რეგულირების და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს ამ ბრძანების ღვინის კომპანიებისათვის გაცნობა.

3. კონტროლს წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დავით გრიგოლია

თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ხელმძღვანელობა